

აფრიკაანსიდან ინგლისურში ნასესხები რამდენიმე ლექსიკური  
ერთეულის სემანტიკისთვის

Towards the Semantics of Some Lexical Borrowings from Afrikaans into  
English

ინგა ზადვორნი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*Inga Zadvorni*

*Tbilisi State University*

**Abstract:**

This paper discusses etymology and semantics of 4 Afrikaans lexical items (apartheid, boer, trek, rooibos) that entered the English language. Historical linguistics and semantics form the theoretical basis of the analysis. The empirical data have been drawn from the authoritative dictionaries of English and internet resources. The semantic extensions of the borrowings in question have been examined within the socio-political and cultural framework. The paper shows how these initially culture-specific terms have evolved semantically and become an essential part of the English vocabulary.

**საკვანძო სიტყვები:** აფრიკაანსი, ინგლისური ენა, ნასესხობა, ეტიმოლოგია, სემანტიკა.

**Keywords:** Afrikaans, English, borrowing, etymology, semantics.

## 1. შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია განიხილოს რამდენიმე ნასესხობა აფრიკაანსიდან ინგლისურ ენაში (*apartheid*, *boer*, *trek*, *rooibos*) სემანტიკის ჭრილში. ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის ისტორიული ლინგვისტიკა (Algeo, 2010) და სემანტიკა (Cowie, 2009). ემპირიული მასალა მოპოვებულ იქნა ინგლისური ენის ავტორიტეტული ლექსიკონებიდან და ინტერნეტ წყაროებიდან. აღნიშნული

ლექსიკური ერთეულების სემანტიკური მახასიათებლები განხილულია ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის ჭრილში.

## 2. აფრიკაანსის თაობაზე

როგორც ცნობილია, აფრიკაანსი მიეკუთვნება ინდოევროპული ენების ოჯახის დასავლეთ გერმანიკულ შტოს. სახელი აფრიკაანსი ჰოლანდიურად ნიშნავს „აფრიკელს“. აფრიკაანსი წარმოიშვა ჰოლანდიური ენიდან, რომელზეც საუბრობდნენ ჰოლანდიელი დევნილები. ისინი მე-17 საუკუნეში ჩამოვიდნენ და დასახლდნენ სამხრეთ აფრიკაში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების გამო, რადგან სწორედ ეს პირობები აძლევდა მათ ვაჭრობისა და ტერიტორიების გაფართოების საშუალებას. დროთა განმავლობაში მათი ენა განვითარდა აზიელ და აფრიკელ მონებთან კომუნიკაციის ხარჯზე. თავდაპირველად, ენას, რომელიც კოლონიაში გამოიყენებოდა ჰოლანდიელი დევნილების მიერ ეწოდებოდა „Cape Dutch“. ეს იყო ჰოლანდიური ენის გამარტივებული ფორმა, თუმცა, აფრიკაანსის წარმოშობის შესახებ იყო და ახლაც გრძელდება კამათი. ზოგიერთი ენათმეცნიერი თვლის, რომ იგი პირველად განვითარდა როგორც პიჯინი, შემდეგ კი როგორც კრეოლი, რომელიც უზრუნველყოფდა საერთო კომუნიკაციის საშუალებას ჰოლანდიელ დევნილებსა და მათ აფრიკელ და სამხრეთ აზიელ მუშაკებს შორის. აფრიკაანსმა სხვადასხვა ენებიდან მიიღო ლექსიკური ერთეულები, კერძოდ კი მალაიზიურიდან, პორტუგალიურიდან და სხვა აფრიკული ენებიდან. მე-19 საუკუნეში იყო ენის სტანდარტიზაციის მცდელობა, აფრიკაანსი ფართოდ გამოიყენებოდა წერილობითი ფორმით, განსაკუთრებით რელიგიურ ტექსტებსა და გაზეთებში. აფრიკაანსი მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ჰოლანდიურის დიალექტად ითვლებოდა. 1925 წელს ის ოფიციალურად იქნა აღიარებული ჰოლანდიურისგან განსხვავებულ ენად. ის მნიშვნელოვან ენადაა მიჩნეული სამხრეთ აფრიკაში, დღეს მასზე საუბრობს მილიონობით ადამიანი სამხრეთ აფრიკასა და ნამიბიაში. აფრიკაანსზე დიდ გავლენას ახდენს ინგლისური ენის ფონოლოგიური, გრამატიკული და ლექსიკური სისტემა, აქედან გამომდინარე ის დღემდე აგრძელებს განვითარებას (A kaans, n.d.).

## 3. ლინგვისტური მასალის ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნე, ყურადღებას გავამახვილებ ინგლისურში აფრიკაანსიდან ნასესხებ ი რამდენიმე სიტყვის ეტიმოლოგიასა და სემანტიკაზე. ეს

ლექსიკური ერთეულებია: apartheid, boer, trek, rooibos. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

„Apartheid“ - *apart* (apart) + *heid* (hood), **Aparthood** (სიტყვასიტყვით „განცალკევება“).

მერამ ვებსტერის ლექსიკონის თანახმად, აღნიშნული ლექსიკური ერთეულის პირველადი მნიშვნელობაა რასობრივი სეგრეგაცია, რომელიც უშუალოდ კავშირშია სამხრეთ აფრიკის სინამდვილესთან:

(1) *At one point more than a million Africans were being arrested each year, most on technical and minor violations of **apartheid** laws (Collinsdictionary, n.d.).*

მოგვიანებით მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და თანამედროვეობაში იგი გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის აღსანიშნად:

(2) *In some regions, socioeconomic disparities create a modern form of **apartheid**, where marginalized communities face systematic discrimination and limited access to resources based on race or ethnicity. (Merriam-Webster, n.d.)*

დავუბრუნდები სიტყვის პირველად მნიშვნელობას; აპარტეიდი იყო იდეოლოგია, რომელსაც მხარს უჭერდა ეროვნული პარტიის მთავრობა. იგი სამხრეთ აფრიკაში დაინერგა 1948 წელს. აპარტეიდი გულისხმობდა სხვადასხვა რასობრივი ჯგუფების ცალკე განვითარებას სამხრეთ აფრიკაში. აპარტეიდთან დაკავშირებული კანონები აიძულებდა სხვადასხვა რასობრივ ჯგუფს ცალკე ცხოვრებას. მოსახლეობის უმრავლესობა იძულებული იყო ეცხოვრა თეთრკანიანებისაგან განცალკევებულ ადგილებში და გამოეყენებინა მათთვის განკუთვნილი საზოგადოებრივი ობიექტები. კონტაქტი ორ ჯგუფს შორის შეზღუდული იყო. სამხრეთ აფრიკის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ აპარტეიდის წინააღმდეგ ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, მისი კანონები ძალაში დარჩა 50 წლის განმავლობაში. 1991 წელს პრეზიდენტ ფ.ვ. დე კლარკის მთავრობამ დაიწყო კანონმდებლობის უმეტესობის გაუქმება. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაგმო აპარტეიდი 1973 წელს. 1985 წელს დიდმა ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა ქვეყანას ეკონომიკური სანქციები დაუწესეს (History, 2010).

მერამ ვებსტერის ლექსიკონის თანახმად აღნიშნული ლექსიკური ერთეული გამოიყენება კულტურულ და გენდერულ სეგრეგაციასთან მიმართებაშიც: (3) *Critics argue that the lack of diversity in certain neighborhoods perpetuates a form of **cultural apartheid**, where individuals from different ethnic backgrounds have minimal interaction or integration (Dictionary.com, n.d.);*

(4) *The strict **gender apartheid** politics in the country led to significant disparities in educational and employment opportunities between men and women (Dictionary.com, n.d.).*

ინტერესს იწვევს ლექსიკური ერთეული *boer* (ბური), რომელიც ჰოლანდიური წარმოშობისაა (მას გერმანიკული ძირი აქვს - გოთური ზმნა *bauan* მიწის დამუშავება) და აღნიშნავს ფერმერს. ის გამოიყენებოდა სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ჰოლანდიელების აღსანიშნად. ისინი 1652 წლიდან ჩამოსახლდნენ კეთილი იმედის კონცხზე. ამ ფერმერებიდან ბევრი დასახლდა ნაყოფიერ მიწებზე და იყენებდა მონებს, რომელთა ნაწილი სხვადასხვა ტერიტორიიდან იყო ჩამოყვანილი. ჰოლანდიელთა კოლონიას მართავდა ჰოლანდიური აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია თითქმის 150 წლის განმავლობაში. ბრიტანელებმა ოფიციალურად აიღეს კონტროლი კონცხზე 1806 წელს.

ბრიტანელები აიძულებდნენ ბურებს, რომ შეეცვალათ ცხოვრების წესი. 1834 წელს მათ გააუქმეს მონობა, აქტი, რომელმაც ბურები გაანაწყენა, რადგან მათ სჯეროდათ, რომ ღმერთმა დაადგინა არსებათა შორის იერარქია: თეთრკანიანი ქრისტიანები უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე მკვიდრი რასის ხალხი. შემდგომი პრობლემები წარმოიშვა მაშინ, როდესაც ბრიტანელებმა სასამართლოს ოფიციალურ ენად აფრიკაანსის ნაცვლად აქციეს ინგლისური ენა. ბურებს აღარ სურდათ ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ ცხოვრება. ისინი დაუცველები იყვნენ მეზობელი აფრიკული ტომების თავდასხმებისაგანაც, ბევრმა ბურმა დაიწყო ჩრდილოეთით გადასვლა. 10 000-ზე მეტი ბურის ეს მიგრაცია ცნობილი გახდა, როგორც დიდი მიგრაცია. 1835-დან 1843 წლამდე 10 000-ზე მეტმა ბურმა იმოგზაურა ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით. ბურები საბოლოოდ გადავიდნენ მდინარეების ორანჟისა და ვალის მიღმა და დააარსეს ორანჟის თავისუფალი სახელმწიფო და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. ბრიტანელებმა აღიარეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა 1852 წელს.

როდესაც ბრიტანელები მე-19 საუკუნეში ჩავიდნენ სამხრეთ აფრიკულ კოლონიებში და როდესაც იქ ბრიტანული გავლენა გაიზარდა, აფრიკაანსის ბევრი ლექსიკური ერთეული შემოვიდა ინგლისურ ენაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელები ბურებს ჩამორჩენილ და ჯიუტ ხალხად თვლიდნენ, ბურებს მტკიცედ სჯეროდათ, რომ მათი ცხოვრების წესი, მათი ენითა და მტკიცე რელიგიური რწმენით, ღმერთმა დაადგინა. კალვინისტურმა პროტესტანტიზმმა დიდი როლი ითამაშა ბურების იდენტობის ჩამოყალიბებაში და მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი გახდა ბიბლია. მათ არ მოსწონდათ უცხოელები, რაც განპირობებული იყო ხედვით, რომ მათი კულტურა და რელიგია შელახული იქნებოდა მათთან ურთიერთობით (Daisley, 2011). უნდა მოვიხსენიოთ ქართველი დიდგვაროვანი ნიკო ბური (ბაგრატიონი), რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბურების ომში ინგლისის წინააღმდეგ. ომის დასასრულს იგი ტყვედ ჩავარდა და წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს. იქ ნიკო ბურმა დაიწყო მემუარებისა და

პატარა დღიურის წერა. ომის შემდეგ ნიკო ბური საქართველოში დაბრუნდა და მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში (The diary of Nico Bagrationi, 2017).

(5) *The Boer farmers trekked inland to establish their own independent communities during the Great Trek in the 19th century (Dictionary.com, n.d.).*

დიდი მიგრაციის კონტექსტში საყურადღებოა ლექსიკური ერთეული *trek*. მისი ეტიმოლოგია მერია ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად: verb - Afrikaans, from Dutch *trecken* to pull, haul, migrate; akin to Old High German *trechan* to pull; noun - Afrikaans, from Dutch *treck* pull, haul, from *trecken*. პირველადი მნიშვნელობა სიტყვისა დაკავშირებულია უკვე ხსენებულ დიდ ლაშქრობასთან. სამხრეთ აფრიკაში სიტყვა *trek* ნიშნავდა ხარშებმული ვაგონით მგზავრობას, მიგრაციას,

(6) *A group of people in South Africa travelled by ox vagon (Merriam-Webster, n.d.).*

თუმცა, შემდგომში მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და დღეს ის აღნიშნავს როგორც მოგზაურობას, ძირითადად მთიან ადგილებში,

(7) *This year we're going trekking in Nepal (Collinsdictionary, n.d.).*

*Trek* წარმომავლობით დაკავშირებულია ინგლისურ ლექსიკურ ერთეულთან Track.

Rooibos სიტყვასიტყვით განიშარტება, როგორც **წითელი ბუჩქი**. საუკუნეების განმავლობაში, რეგიონის მკვიდრნი კრეფდნენ მცენარის ფოთლებს სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. მკვიდრი მოსახლეობის შემცირებით, როიბოს შესახებ ცოდნაც შემცირდა. საბედნიეროდ, 1772 წელს ბოტანიკოსმა კარლ ჰუმბერტმა ხელახლა აღმოაჩინა ფოთლები, აღადგინა მათი პოპულარობა და გააღვივა ინტერესი აღნიშნული ჩაის მიმართ. 1904 წელს, რუსმა ემიგრანტმა დაიწყო სასმელის გაყიდვა და მას უწოდა "მთის ჩაი".

აზიის ქვეყნებიდან ჩაის იმპორტი თითქმის შეუძლებელი იყო მეორე მსოფლიო ომის დროს. როიბოსი გახდა შესანიშნავი ალტერნატივა და გავრცელდა მთელ მსოფლიოში. თუმცა, მცენარის თესლის დეფიციტი იმას ნიშნავდა, რომ ის ძვირი იყო და მოთხოვნამ კიდევ უფრო გაზარდა მისი ღირებულება. მხოლოდ უახლეს ისტორიაში შეიქცალა როიბოს ჩაის ბედი. 1968 წელს სამხრეთ აფრიკელმა, ანიკ ტერონმა დაწერა წიგნი როიბოს ჩაის მნიშვნელობაზე ჯანმრთელობისათვის. გასაოცარი სარგებლობის შესახებ. მისი პოპულარობის გაზრდის შედეგად ჩატარდა კვლევები, რის შედეგად დადგინდა, რომ ჩაის შემადგენლობაში მაღალია ანტიოქსიდანტების დონე (Rooibos tea – A history, 2022).

#### 4. დასკვნა

ამრიგად, გაანალიზებულმა ოთხმა ნასესხობამ აფრიკაანსიდან ცხადყო თუ როგორ შეიცვალა მათი თავდაპირველი მნიშვნელობები დროთა განმავლობაში. *Apartheid*-ი თავდაპირველად ნიშნავდა რასობრივ სეგრეგაციას, ხოლო შემდგომ მან შეიძინა მეორადი მნიშვნელობა - ნებისმიერი სახის სეგრეგაცია, დისკრიმინაცია, მას ვხვდებით გენდერთან და კულტურასთან შესიტყვებაშიც (gender apartheid, cultural apartheid) . ლექსიკური ერთეულები boer, “trek, rooibos მჭიდროდ არის დაკავშირებული აფრიკაანსის მატარებელთა ისტორიასთან და ცხოვრების წესთან. აღნიშნულმა ერთეულებმა ინგლისურ ენაში ახალი დატვირთვა შეიძინეს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Afrikaans, (n.d.). Retrieved April 7, 2023, from: <https://www.mustgo.com/worldlanguages/afrikaans/>
2. Algeo, J. (2010) *The origins and development of the English language* (6<sup>th</sup> ed.). <https://ekldata.com/LP-DowGWP2jGZ75kxCZ9PrGnUEg/The-Origins-and-Development-of-the-English-Language-6th-ed.-J.-Algeo-Cengage-2010-BBS.pdf>. Boston: Wadsworth.
3. Apartheid in South Africa (October 7, 2010). Retrieved April 27, 2023 from: <https://www.history.com/topics/africa/apartheid>.
4. Collinsdictionary. (n.d). Apartheid; Trek. In *Collinsdictionary.com*. Retrieved May 13, 2023, from: <https://www.collinsdictionary.com/>.
5. Cowie, A. (2009). Oxford introductions to language study. *Semantics*. [https://lic.hawaii.edu/vn/media/Book\\_NN/th%E1%BA%A1c%20s%E1%BB%B9%20N%20ANh/semantics%201.pdf](https://lic.hawaii.edu/vn/media/Book_NN/th%E1%BA%A1c%20s%E1%BB%B9%20N%20ANh/semantics%201.pdf). Oxford: Oxford University Press.
6. Dictionary.com. (n.d.). Apartheid, Boer. In *Dictionary.com*. Retrieved May 16, 2023, from: <https://www.dictionary.com>.
7. Merriam-Webster. (n.d.). Apartheid, Trek. In Merriam-Webster. Com dictionary. Retrieved April 23, 2023, from: <https://www.merriam-webster.com/>.
8. Rooibos tea - A history, (12 May, 2022). Retrieved May 12, 2023, from: <https://www.exoticteapot.co.uk/blog/rooibos-tea-a-history>.
9. Daisley, S. (2011). South African 'Boer' War. Retrieved April 20, 2023, from: <https://nzhistory.govt.nz/war/south-african-boer-war/the-boers>.

10. The National Archives of Georgia has published the Diary of Niko Bagration.

(December 1, 2017). Retrieved May 10, 2023, from:

<https://archive.gov.ge/en/news/erovnulma-arqivma-niko-buris-dgiuri-gamosca>.

#### **ავტორის შესახებ:**

მე ვარ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი. ვსწავლობ ინგლისურ ფილოლოგიაზე, თუმცა ამის გარდა ვსწავლობ ფსიქოლოგიის ფაკულტეტზეც, რომელიც დამატებით სპეციალობად მაქვს არჩეული.

#### **About the author:**

I am a second-year student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. I study English philology, but in addition to that, I also study at the Faculty of Psychology, which I have chosen as an additional specialty.

E-mail: [ingazadvorni2@gmail.com](mailto:ingazadvorni2@gmail.com)

#### **სამადლობელი:**

მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო დარასელიას განეული შრომისთვის. მისი დახმარებით მივიღე ძალიან დიდი გამოცდილება კვლევის სფეროში და დარწმუნებული ვარ, რომ შეძენილი უნარები მომავალშიც გამომადგება. იმედი მაქვს, რომ კიდევ გვექნება შესაძლებლობა ერთად ვიმუშაოთ ახალ და საინტერესო პროექტებზე.

#### **Acknowledgements:**

I would like to express my gratitude to my supervisor, Mrs. Nino Daraselia, for her efforts. With her help, I gained immense experience in the field of research, and I am confident that the acquired skills will be useful for me in the future as well. I hope we will have the opportunity to work together again on new and interesting projects.